DIPLOMATIC SERVICE

საქართველო, თბილისი, 0113
ქ. ხოლოყაშვილის ქ. №57ა,
III-ბ კორპუსი, 23-24
ტელ/ფაქსი +9955322790008
მობ.: +995592790008
ელ. ფოსტა : info@diplomaticservice.ge
www.diplomaticservice.ge

09.09.2013/№ 01/003

გაცნობებთ, რომ ჩვენი ორგანიზაცია “Diplomaticservice”-ის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის საზოგადოებრივი სერვისით უზრუნველყოფა და ამ სერვისის მიწოდებისას ვენის 1961 წლის დიპლომატიური ურტიერთობის შესახებ და 1963 წლის საკონსულო ურთიერთობების შესახებ კონვენციებით გათვალისწინებული შეღავათების პრაქტიკული რეალიზაცია.

ამასთან ჩვენი ორგანიზაცია აქტიურადაა ჩაბმული სხვადასხვა სახის საზოგადოებრივი ღონისძიებების ორგანიზაებაში, ამჟამად საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კოროპუსისთვის და ასევე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, კერძო სამეწარმეო კომპანიებისთვის შემუშავებული გვაქვს გარკვეული სპორტულ-გამაჯანსაღებელი პროექტი, რომლის განხორციელებაც დაგეგმილია 2013 წლის 12 ოქტომბრიდან. აღსანიშნავუია რომ პარტნიორ კომპანიებთან ერთად 2008-2012 წლების განმავლობაში, მსგავსი პროექტების სერია უკვე განხორციელებულია არაპროფესიონალ მინი ფეხბურთის გუნდებისთვის სახელწოდებით “მოყვარულ ფეხბურთელთა ლიგა” (იხ. mfl.diplomaticservice.ge)

იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ თავისი მასშტაბების მიხედვით ეს იქნება საქართველოში უპრეცენდენტო სპორტული ღონისძიება რომელშიც მონაწილეობას მიიღებს დიპლომატიური კორპუსი, იგი ჩვენი აზრით ხელს შეუწყობს მეტად მჭიდრო და მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებას, საქართველოში აკრედიტებულ სხვადასხვა ქვეყნის დიპლომატებს, ქართველ დიპლომატებს და ქართული სამეწარმეო კომპანიების წარმომადგენლებს შორის. ამავე დროს ღონისძიება მიიღებს ერთგვარი აქციის სახეს რომელიც პოპულარიზაციას გაუწევს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას საზოგადოებაში.

თავისი საქმიანობის განხორციელებისას დიპლომატიკსერვისი აქტიურად თანამშრომლობს ბეჭდვით და სამაუწყებლო მედიასთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ თქვენი კომპანიის სახელით მიიღოთ მონაწილეობა აღნიშნულ ღონისძიებაში და სურვილისამებრ დაასპონსოროთ იგი.

ტურნირი გაიმართება ლიგის ანუ წრიული სისტემით. დეტალური ინფორმაციის მისაღებათ იხილეთ დანართი ან დაგვიკავშირდით:

ვებ გვერდი - www.diplomaticservice.ge

ელ. ფოსტა – info@diplomaticservice.ge

ტელ: 592 790008; 557003331

საზოგადოების დირექტორი

/ო. აბულაძე/